

ზიგმუნდ ფროიდი

სიამოვნების პრიცეპის მიღება

ეგო და Id

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2021

თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© IBOOKS

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2966-6

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 4

სიამოვნების პრინციპების მიღმა

I	8
II	14
III	22
IV	30
V	43
VI	55
VII	79

ებო და Id

წინასიტყვაობა	85
I. ცნობიერება და არაცნობიერი	87
II. ეგო და Id	94
III. ეგო და ზე-ეგო (ეგოს იდეალი)	105
IV. ინსტინქტთა ორი კლასი	119
V. ეგოს დამოკიდებულებითი ურთიერთობა	130

შენიშვნები და განმარტებები	145
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები	151

მთარგმნელის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ზიგმუნდ ფროიდის ორი უმნიშვნელოვანესი ტექსტი, რომელიც შინაარსობრივად არის ერთმანეთს დაკავშირებული – „სიამოვნების პრინციპს მიღმა“ და „ეგო და Id“.

„სიამოვნების პრინციპს მიღმა“ ფროიდმა 1920 წელს დაწერა. ეს გახლავთ ფროიდის მეტაფსიქოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია, რომელიც მან ამ პერიოდამდე შექმნა. აქ პირველად ვხვდებით თემებს, რომლებმაც საფუძვლიანად შეცვალეს ის პრინციპები, რომლებსაც მანამდე ეყრდნობოდა ფსიქოანალიზი.

ეს წიგნი ფსიქიკის ჩამოყალიბების უნიკალურ კონცეფციას გვთავაზობს. ფროიდი ცდილობს სულიერი სამყაროს მიღმა შეიხედოს, ცდილობს გაიგოს ფსიქიკურის მისთვის ამოუხსნელი ფენომენები, რომლებიც შორს სცდებიან სიამოვნების პრინციპს.

იმ დრომდე ფროიდს მიაჩნდა, რომ სულიერ ცხოვრებას სიამოვნების პრინციპი წარმართავდა, მაგრამ დროის მიმდინარეობასთან ერთად მან შეამჩნია წინააღმდეგობები, რომლებიც ამ პრინციპს ყოველმხრივ არღვევდნენ. კერძოდ, ასეთებია ტრავმატული ნევროზები, ბავშვური თამაშები და გადატანის მოვლენები, რომლებიც ცხადად გვიჩვენებენ, თუ როგორ იმეორებს და კვლავანარმოებს, თითქოს ძალდატანებით, ადამიანი თავისი ცხოვრების ტრავმატულ გამოცდილებას.

აღნიშნული მოვლენების გაგების მცდელობებში ფროიდმა აღმოაჩინა აკვიატებული გამეორების პრინციპი, რომელიც არღვევს ლტოლვის თეორიას, როდესაც სექსუალური ლტოლვა თვითგადარჩენის ლტოლვას უპირისპირდება. ამ წიგნში ფროიდი წერს იმის შესახებ, რომ ადამიანს ძლიერი სულიერი მიდრეკილება აქვს სიამოვნებისკენ, მაგრამ წუხილით აღიარებს, რომ აკვი-

ატებული გამეორება ხაზს გადაუსვამს ყოველგვარ სიამოვნებას და ადამიანს აიძულებს ისეთი რამ განიცადოს, რასაც საერთოდ არ გააჩნია კავშირი სიამოვნებასთან.

არაცნობიერში სიკვდილისკენ ლტოლვის დასკვნა ფრონდმა პირველი მსოფლიოს ომის ვეტერანებისა და ინვალიდების ქცევის ანალიზის შედეგად გააკეთა. ფსიქოლოგები ტრადიციულად საყვედურობენ ფრონდს, რომ ის ყველა აშლილობის ფესვს ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაში ხედავს, უმთავრესად კი სიამოვნების პრინციპს მიიჩნევს. თუ ადრებული ფრონდის მიმართ ეს თეზისი ნაწილობრივ მართებულია, თავისი 1920 წლის ნაშრომში ის მეტად ფუნდამენტურ პრინციპს აღნერს, რომელიც სიამოვნების პრინციპისგან დამოუკიდებლად მუშაობს – პრინციპს აკვირატებული გამეორებისა.

„სიამოვნების პრინციპს მიღმა“ ფრონდის ერთ-ერთი საკვანძო ნაშრომია, რომელიც გარდამავალ პუნქტს ნარმოადგენს ფსიქიური აპარატის პირველი მოდელიდან (ცნობიერება / წინარეცნობიერი / არაცნობიერი) მეორე მოდელისკენ (ეგო / Id / ზე-ეგო), ასევე მასში პირველად არის ნამოჭრილი კითხვა აკვიატების ბუნების, ფსიქოლოგიური ტრავმის დაპრუნების გარდაუვალობისა და სიკვდილისკენ ლტოლვის არსებობის შესახებ.

შესაძლოა, ფრონდის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი და მნიშვნელოვანი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანის ფსიქიკას ერთზე მეტი ასპექტი აქვს.

მისი ნაშრომის, „ეგო და Id“ (1923), თანახმად, ფსიქიკა სამი ნაწილისგან შედგება: ეგოს, Id-ის და ზე-ეგოსგან, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განსხვავებულ ეტაპებზე ვითარდებიან. ეს გახლავთ სისტემები და არა თავის ტვინის ნაწილები, მათ ფიზიკური გარსი არ გააჩნიათ.

ფრონდის თეორიის მიხედვით, Id – გონების პრიმიტიული და ინსტინქტური ნაწილია, რომელიც სექსუალურ და აგრესიულ ლტოლვებსა და ფარულ მოგონებებს მოიცავს; ზე-ეგო მოქმედებს, როგორც ზნეობრივი ცნობიერება, ხოლო ეგო – ესაა რეალური ნაწილი, რომელიც Id-ისა და ზე-ეგოს სურვილებს შორის შუამავლობს.

თუმცა კი პიროვნების თითოეულ ნაწილს უნიკალური თვისებები გააჩნია, ისინი ურთიერთქმედებენ, ხოლო თითოეულ ნაწილს თავისი წვლილი შეაქვს ადამიანის ქცევაში.

რა არის Id? როგორც ითქვა, ის პიროვნების პრიმიტიული და ინსტინქტური კომპონენტია, რომელიც მემკვიდრეობით მიღებული ორი კომპონენტისგან შედგება. ერთია სექსუალური (სიცოცხლის) ინსტინქტი – ეროსი (რომელიც ლიბიდოს შეიცავს), და აგრესიული (სიკვდილის) ინსტინქტი – ტანატოსი.

Id ჩვენი ფსიქიკის იმპულსური და არაცნობიერი ნაწილია, რომელიც უშუალოდ რეგირებს ძირითად სწრაფვებზე, სურვილებსა და მოთხოვნილებებზე. ახალდაბადებული ბავშვის პიროვნება სრულად Id-ს ნარმოადგენს, და მხოლოდ შემდეგ ვითარდება მასში ეგო და ზე-ეგო.

რა არის ეგო? ეგო Id-ის ის ნაწილია, რომელიც გარე სამყაროს უშუალო გავლენით იცვლება.

ეგო ვითარდება, რათა არარეალურ Id-სა და რეალურ გარე სამყაროს შორის შუამავლობა იყისროს, ის გახლავთ პიროვნების გადაწყვეტილების მიმღები კომპონენტი. იდეალურ შემთხვევაში, ეგო გონიერი მუშაობს, როდესაც Id ქაოტური და არაგონივრულია.

რა არის ზე-ეგო? ზე-ეგო მოიცავს საზოგადოების მორალურ ღირებულებებს, რომელთა შეთვისება მშობლებისა და სხვა ადამიანებისგან ხდება. ის დაახლოებით 3-5 წლის ასაკში ვითარდება ფსიქოსექსუალური განვითარების ფალიკურ სტადიაზე.

ზე-ეგოს ფუნქცია Id-ის იმპულსების კონტროლია, განსაკუთრებით, ისეთების, რომელებსაც საზოგადოება კრძალავს, როგორიცაა სექსი და აგრესია. ასევე მისი ფუნქციაა ეგოს დარწმუნება, მიმართოს მორალურ მიზნებს, ნაცვლად უბრალოდ რეალურისა.

წინამდებარე წიგნში ნარმოდგენილი ორი ტექსტის გავლენა ფსიქონალიზის განვითარებაზე უდიდესია და, მიუხედავად იმისა, რომ მათი შექმნიდან თითქმის ასი წელიწადია გასული, ისინი კვლავ რჩება ამ სფეროს ფუძემდებლურ ნაშრომებად.

სიამოვნების პრიცეპის მიღეა

ფსიქოანალიტიკურ თეორიაში ჩვენ გაბედულად ვაკეთ-ებთ იმ ვარაუდს, რომ ფსიქიურ პროცესთა მსვლელობა ავტომატურად რეგულირდება სიამოვნების პრინციპით, ანუ მიგვაჩინია, რომ მისი სტიმულირება ხდება უსიამოვნო დაძაბულობით, შემდეგ კი იღებს მიმართულებას, რაც თანხვდება დაძაბულობის შემცირებას ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსიამოვნების გაუქმებასა და სიამოვნების მიღებას. თუკი იმ ფსიქიურ პროცესებს განვიხილავთ, რომლებსაც ასეთ მიმდინარეობასთან აქვთ კავშირი, ამით ჩვენს შრომაში ეკონომიკურ თვალსაზრისს შემოვიტანთ. ჩვენ მიგვაჩინია, რომ თეორია, რომელიც აქტუალური და დინამიური მომენტის გარდა ეკონომიურსაც ითვალისწინებს, ყველაზე სრულყოფილია მათ შორის, რაც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, და მეტაფსიქოლოგიურის სახელს იმსახურებს.

ამასთან, ჩვენთვის სრულებით არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად მივუახლოვდით რაიმე განსაზღვრულ ფილოსოფიურ სისტემას და რამდენად დავუკავშირეთ ის სიამოვნების პრინციპს. ასეთ გონებაჭვრეტით დებულებებთან ჩვენ მივდივართ იმ ფაქტების აღნერისა და განმარტების გზით, რომლებსაც ყოველდღიურად ვაკვირდებით. პრიორიტეტი და ორიგინალობა არ წარმოდგენს ფსიქოანალიტიკური კვლევის მიზანს, ხოლო მოვლენები, რომლებსაც ეყრდნობა ეს პრინციპი, იმდენად ცხადია, რომ შეუძლებელია ვერ შევამჩნიოთ. მეორე შხრივ, მადლიერი ვიქენებოდით იმ ფილოსოფიური ან ფსიქოლოგიური სისტემისა, რომელიც შეძლებდა განემარტა, როგორია სიამოვნებ-

ისა და ტკივილის გრძნობათა მნიშვნელობა, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვენთვის. სამწუხაროდ ამ მიმართებით ვერ-აფერს გვთავაზობენ სასარგებლოს. ეს გახლავთ სულიერი მოღვაწეობის ყველაზე ბნელი და მიუწვდომელი სფერო, ხოლო თუ მისი გათვალისწინება აუცილებელია, მაშინ, ჩემი აზრით, ყველაზე თავისუფალი ვარაუდი საუკეთესოც იქნება. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სიამოვნება და უსიამოვნება დამოკიდებულებაში ჩაგვეყენებინა სულიერი მღელვარების რაოდენობასთან, რომელიც არაფერთან არის დაკავშირებული, ისე, რომ უსიამოვნება შეესაბამებოდეს ამ რაოდენობის მატებას, ხოლო სიამოვნება – შემცირებას. ამასთან, ჩვენ არ ვფიქრობთ მარტივი დამოკიდებულების შესახებ ამ გრძნობებსა და იმ რაოდენობრივ ცვლილებებს შორის, რომ-ლებიც მათ იწვევენ; ამასთანავე, ფსიქოლოგიის მონაცემთა თანახმად, აქ ყველაზე ნაკლებად უნდა ვივარაუდოთ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება. შესაძლოა, რომ გადამწყვეტ მომენტს გრძნობისთვის წარმოადგენდეს ამ ცვლილებათა მეტი ან ნაკლები ხანგრძლივობა; ჩვენთვის, ანალიტიკოსებისთვის, რთულია რჩევის მიცემა ამ პრობლემაში მეტად ჩაღრმავების შესახებ, რადგან ამ შემთხვევაში სრულიად ზუსტი მონაცემებით ვერ ვიხელმძღვანელებთ.

თუმცა, გულგრილნი ვერ დავრჩებით იმ ფაქტის მიმართ, რომ ისეთი ღრმა მკვლევარი, როგორც გ.თ. ფეხ-ნერია, გვთავაზობს სიამოვნებისა და უსიამოვნების თეორიას, რომელიც არსებითად თანხვდება იმას, რასთანაც ჩვენ ფსიქონალიტიკური სამუშაოთი მივდივართ. თავისი შეხედულება, რომელიც ფეხნერმა ჩამოაყალიბა სტატიაში სათაურით „*Einige Ideen zur Schöpfungs- und Entwicklungs-geschichte der Organismen*“, (1873, Abschnitt XI, Zusatz, p. 94), შემდეგს გვამცნობს: „ვინაიდან კონკრეტული სურვი-ლები ყოველთვის კავშირში არიან სიამოვნებასა ან უსია-მოვნებასთან, შეგვიძლია, რომ სიამოვნება და უსიამოვნე-

ბა ასევე განვიხილოთ მდგრადობისა და არამდგრადობის პირობებთან ფსიქოფიზიკურ კავშირში, ეს კი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ჩემს მიერ სხვა ნაშრომში განვითარებული პიპოთეზა, რომ ნებისმიერი ფსიქოფიზიკური მოძრაობა, რომელიც ცნობიერების საზღვრებს სცდება, გარკვეული ხარისხით სიამოვნებაზე დამოკიდებული, როდესაც ის, გადააბიჯებს რა გარკვეულ ზღურბლს, სრულ მდგრადობას უახლოვდება, და – უსიამოვნებაზე, როდესაც, ასევე გადააბიჯებს რა გარკვეულ ზღურბლს, შორდება მას; ორივე საზღვარს შორის, რომელსაც შეგვიძლია სიამოვნებისა და უსიამოვნების ხარისხობრივი ზღურბლი ვუწოდოთ, გარკვეულ საზღვრებში მოთავსებულია გრძნობითი ინდიფერენტულობის ერთგვარი სფერო...“

ფაქტები, რომლებმაც ფსიქიურ ცხოვრებაში სიამოვნების პრინციპის ბატონობის აღიარებისკენ გვიბიძგეს, თავის გამოხატულებას იმ ვარაუდში ჰქოვებენ, რომ ფსიქიური აპარატი ფლობს ტენდენციას, შეინარჩუნოს მასში მყოფი აღგზნების რაოდენობა დაბალ ან, სულ ცოტა, მუდმივ დონეზე. ეს იგივეა, თუმცა სხვაგვარად გამოხატული, რადგან თუ ფსიქიური აპარატის მუშაობა იქეთა მიმართული, რომ აღგზნების რაოდენობა დაბალ დონეზე შეინარჩუნოს, მაშინ ყველაფერი, რაც აღგზნების ზრდას უწყობს ხელს, განხილულ უნდა იქნას, როგორც რაღაც, რაც ხელს უშლის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, ანუ – როგორც უსიამოვნება. სიამოვნების პრინციპი გამოიყვანება კონსტრუქტურობის პრინციპიდან. სინამდვილეში კონსტანტურობის პრინციპთან იმავე ფაქტებს მივყავართ, რომლებიც სიამოვნების პრინციპის აღიარებას გვაიძულებენ. დეტალური განხილვისას ასევე დავადგენთ, რომ ფსიქიური აპარატის ჩვენს მიერ ნავარაუდევი სწრაფვა, კერძო შემთხვევის სახით, ემორჩილება ფეხნერისეულ ტენდენციას სტაბილურობისკენ, რომლითაც ის სიამოვნებისა და უსიამოვნების შეგრძნებებს უკავშირებს ერთმანეთს.

მაგრამ მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სინამდვილეში არ არის მართებული ვისაუბროთ სიამოვნების პრინციპის შესახებ ფსიქიურ პროცესებში. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენს ფსიქიურ პროცესთა დიდ უმრავლესობას თან უნდა ახლდეს სიამოვნება ან მიჰყავდეს სიამოვნებისკენ, როდესაც ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება ამ დასკვნას მკვეთრად ეწინააღმდეგება. შესაბამისად, საქმის ვითარება შესაძლოა მხოლოდ ისეთი იყოს, რომ სულში არსებობდეს ძლიერი ტენდენცია სიამოვნების პრინციპის ბატონობისკენ, რომელსაც, თუმცადა, სხვადასხვა ძალები და პირობები ეწინააღმდეგებიან, შესაბამისად კი საბოლოო შედეგი ყოველთვის არ იქნება შესაბამისობაში სიამოვნების პრინციპთან. გავეცნოთ ფეხნერის შენიშვნას ანალოგიურ შემთხვევაში (იქვე, გვ. 90): „ამასთანავე, მიზნისკენ სწრაფვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ მიზნის მიღწევას, და საერთოდაც, მიზნის მიღწევა მხოლოდ მიახლოებაშია...“ ხოლო თუ ახლა მივმართავთ კითხვას, რა გარემოებებს შეუძლიათ სიამოვნების პრინციპის განხორციელების გართულება, ჩვენ კვლავ მყარნიადაგზე აღმოვჩნდებით და შევძლებთ ფართოდ გამოვყენოთ ჩვენი ანალიტიკური გამოცდილება.

ასეთი შეკავების პირველი კანონზომიერი შემთხვევა ჩვენთვის ცნობილია. ჩვენ ვიცით, რომ სიამოვნების პრინციპი დამახსასიათებელია ფსიქიური აპარატის მუშაობის ძირითადი რეჟიმისთვის და რომ გარე სამყაროს სირთულეთა შორის ორგანიზმის თვითშენარჩუნებისთვის ის თავიდანვე გამოუსადეგარი და გარკვეული ხარისხით სახითაოა.

თვითშენარჩუნებისკენ ორგანიზმის სწრაფვის გავლენის ქვეშ ეს პრინციპი იცვლება „რეალურობის პრინციპით“, რომელიც, არ ამბობს რა უარს საბოლოო მიზანზე – სიამოვნების მიღებაზე, დროებით გადადებს დაკმაყოფილების შესაძლებლობებს და დროებით იტანს უსიამოვნებას სიამოვნებისკენ გრძელ და შემოვლით გზაზე. სიამოვნების პრინ-

ଓগৱ এৱা Id

ნინამდებარებულობა

ნინამდებარებულობა არის შემდგომი განვითარება აზრებისა, რომელთა გაშლა მე ვცადე ნაშრომში „სიამოვნების პრინციპს მიღმა“ (1920), და რომელთადმი ჩემი დამოკიდებულება, როგორც იქ აღვნიშნე, კეთილმოსურნე ცნობისმოყვარეობის ხასიათს ატარებდა. შემდგომ გვერდებზე ეს აზრები გადაბმულია ანალიტიკური დაკვირვების სხვადასხვა ფაქტებს, ასევე განხორციელებულია მცდელობა, რომ გაერთიანებიდან ახალ დასკვნებამდე მივიდეთ. მიუხედავად ამისა, ნინამდებარე ნაშრომში არაფერია ნასესხები ბიოლოგიდან, რისი მიზეზით ის უფრო ახლოს არის ფსიქოანალიზთან, ვიდრე ზემოხსენებული ნაშრომი. ის უფრო სინთეზის ხასიათს ატარებს, ვიდრე სპეციალურაციისა და, როგორც ჩანს, ერთობ ამბიციურ მიზანს ისახავს. თუმცა, მე ვაცნობიერებ, რომ ნინამდებარე მსჯელობა არ სცდება უხეში მონახაზის ფორმას, ეს შეზღუდვა კი მე სავსებით მაკმაყოფილებს.

შემდგომ გვერდებზე განხილულია საკითხები, რომლებიც არასოდეს დაქვემდებარებია ფსიქოანალიტიკურ კვლევას, იმავდროულად კი შეუძლებელი იყო გვერდის ავლა ზოგი თეორიისთვის, რომელიც არაანალიტიკოსების მიერ იყო წამოყენებული, ან წარსულის ანალიტიკოსების მიერ, რომლებიც შორდებოდნენ ფსიქოანალიზს. ზოგადად, მე ყოველთვის მზად ვარ ვაღიარო ის, რაც სხვათა ღვაწლისა მმართებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში მე არ

ვგრძნობ თავს ვალდებულებით დამძიმებულად. თუკი ფსიქოანალიზი დღემდე სათანადოდ არ აფასებდა კონკრეტულ მოვლენებს, ეს არასოდეს მომხდარა იმ მიზეზით, რომ მას მხედველობიდან გამორჩია მათი მიღწევები ან მათი მნიშვნელობის უარყოფისკენ ისწრაფოდა, არამედ იმიტომ, რომ ის განსაზღვრულ გზას მიყვებოდა, რომელიც ესოდენ შორს ჯერ არ წასულა. საბოლოოდ, როდესაც მან მიაღწია ამ წერტილს, მოვლენები მისთვის სხვაგვარად წარმოჩნდა, ვიდრე სხვებისთვის.

I. ცნობილება და არაცნობილი

შესავალ თავში ახალი არაფერი იქნება ნათქვამი და ვერც იმის გამეორების არიდებას შევძლებთ, რაც უკვე მრავალჯერ გვითქვამს.

ფსიქიკის გამიჯვნა ცნობიერად და არაცნობიერად ფსიქოანალიზის ფუნდამენტური წინაპირობაა და ის შესაძლებლობას აძლევს ფსიქოანალიზს, გაიგოს მენტალური ცხოვრების პათოლოგიური პროცესები, რომლებიც იმდენადვე გავრცელებულია, რამდენადაც მნიშვნელოვანი, და მოუძებნოს მათ ადგილი მეცნიერების ჩარჩოებში. კიდევ ერთხელ, თუმცა სხვა სიტყვებით რომ გამოვთქვათ, ფსიქოანალიზს არ ძალუდს ფსიქიკურის არსის მოთავსება ცნობიერებაში, მაგრამ ვალდებულია, განიხილოს ცნობიერება, როგორც ფსიქიკურის თვისება, რომელიც შესაძლოა მყოფობდეს სხვა თვისებებთან ერთად ან შესაძლოა არ მყოფობდეს.

თუკი მე დავუშვებ, რომ ფსიქილოგიით დაინტერესებული ყველა ადამიანი წაიკითხავს ამ წიგნს, იმისთვისაც უნდა ვიყო მზად, რომ ჩემი ზოგი მკითხველი უკვე აქ შეწყვეტს კითხვას და მეტად წინ აღარ წაიწევს, რადგან აქ ჩვენ ფსიქოანალიზის პირველ თეზისს ვხვდებით. ფილოსოფიაში განსწავლულ ადამიანთა უმეტესობისთვის ფსიქიკურის იდეა, რომელიც იმავდროულად ცნობიერი არ არის, იმდენად მიუწვდომელია გონებისთვის, რომ ეს მათ უაზრობად ეჩვენებათ და ლოგიკა მას უბრალოდ უარყოფს. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთ ადამიანებს არასოდეს შეუსწავლიათ ჰიპნოზისა და სიზმრის შესაბამისი ფენომენ-

ები, რომლებიც, პათოლოგიურ გამოვლინებებზე რომ აღა-
რაფერი ვთქვათ, აუცილებელს ხდიან ასეთ შეხედულებას.
ცნობიერების მათ ფსიქოლოგისა არ შესწევს სიზმრებისა და
ჰიპნოზის პრობლემების გადაჭრის უნარი.

„იყო გაცნობიერებული“,¹ უპირველეს ყოვლისა, წმინ-
დად აღწერილობითი ცნებაა, რომელიც ყველაზე უშუა-
ლო და განსაზღვრულ აღქმას ეფუძნება. გამოცდილება
გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ელემენტის (მაგალითად, იდ-
ეის) გაცნობიერება, როგორც წესი, დროის ხანგრძლივი
პერიოდის განმავლობაში არ ხდება. პირიქით, ცნობიერ-
ების მდგომარეობა, ჩვეულებრივ, ერთობ წარმავალია;
იდეა, რომელიც გაცნობიერდება ახლა, აღარ არის ასეთი
წამის შემდეგ, თუმცა კი შესაძლოა კვლავ იქცეს ასეთად
კონკრეტულ პირობებში, რომელთა შექმნა ერთობ იოლია.
შუალედში რა იყო იდეა, არ ვიცით. ჩვენ შეგვიძლია ვთქ-
ვათ, რომ ის ლატენტური იყო, რის ქვეშ ჩვენ ვგულისხ-
მობთ, რომ მას შესწევს უნარი, იქცეს ცნობიერად ნებისმი-
ერ წამს. ან, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ის არაცნობიერი იყო,
ეს კვლავ მართებული აღწერა იქნება. აქ „არაცნობიერი“
თანხვდება „ლატენტურსა და ცნობიერად ქცევის უნარის
მქონეს“. ფილოსოფოსები უდავოდ შეგვეკამათებიან: „არა,
„არაცნობიერის“ ცნება აქ არ უნდა გამოიყენებოდეს; მა-
ნამ, სანამ იდეა ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა,
ის სრულებით არ იყო ფსიქიკური“. ამ ეტაპზე მათვის
წინააღმდეგობის განევა სიტყვიერი დისკუსიის გარდა არა-
ნაირ სარგებელს არ მოიტანდა.

მაგრამ, ჩვენ აქ არაცნობიერის ცნებას, ანუ კონცეფ-
ციას, სხვა მხრიდან მივუახლოვდით, იმ კონკრეტული გა-
მოცდილების გათვალისწინებით, რომელშიც მენტალური
დინამიკა როლს თამაშობს. ჩვენ დავადგინეთ, ანუ, ჩვენ
ვაღდებული ვიყავით დაგვეშვა, რომ არსებობს უკიდურე-
სად ძლიერი მენტალური პროცესები ანუ იდეები (აქ კი
რაოდენობრივი, ანუ ეკონომიკური ფაქტორი პირველად

დგება კითხვის ქვეშ), რომლებსაც ძალუძთ ყველა იმ ეფექტის ნარმოქმნა მენტალურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი იდეები რომ ქმნიან (იმ ეფექტების ჩათვლით, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლოა იქცნენ ცნობიერად, როგორც იდეები), თუმცა კი ისინი ცნობიერად არ იქცევიან. აյ არ განვიცდით აუცილებლობას, დეტალურად გავიმეოროთ ის, რაც არაერთხელ იყო ახსნილი მანამდე. საკმარისია იმის თქმა, რომ ამ ეტაპზე ფსიქოანალიტიკური თეორია გამოდის სცენაზე და ამტკიცებს, რომ მიზეზი, თუ რატომ არ იქცევიან ასეთი იდეები ცნობიერად, იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ძალა უპირისპირდება მათ, და რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი შესაძლოა ცნობიერად ქცეულიყვნენ, შესაბამისად კი ცხადი შეიქნებოდა, თუ რა მცირედ განსხვავდებიან ისინი სხვა ელემენტებისგან, რომლებიც, საყოველთაო აღიარებით, ფსიქიკურად ითვლება. ის ფაქტი, რომ ფსიქოანალიზის ტექნიკაში აღმოჩენილ იქნა საშუალება, რომლის მეშვეობით უკუმოქმედი ძალა შესაძლოა გატანილ იქნას, ხოლო განსახილველი იდეები ცნობიერად იქცნენ, ამ თეორიას შეუდავებლად აქცევს. მდგომარეობა, რომელშიც იდეები იმყოფებოდნენ, სანა-ამ ცნობიერად იქცეოდნენ, ჩვენ მიერ განდევნად იწოდება, და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ძალა, რომელიც განდევნას აწესებს და ინარჩუნებს, აღქმულია, როგორც წინააღმდეგობა ფსიქოანალიტიკური სამუშაოს დროს.

ამგვარად, არაცნობიერის კონცეფციას ჩვენ განდევნის თეორიიდან ვიღებთ. განდევნილი ჩვენთვის – არაცნობიერის პროტოტიპია. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ ორი სახის არაცნობიერი გვაქვს: ერთი, რომელიც ლატენტურია, მაგრამ ცნობიერად ქცევის უნარი შესწევს; და მეორე, რომელიც განდევნილია და რომელსაც თავისთავად და დამატებითი ძალისხმევის გარეშე არ ძალუდს ცნობიერად ქცევა. ფსიქიკური დინამიკის ასეთი გაგება არ შეიძლება გავლენას არ

გამოხვალვა აქტი-ს მიერ გამოხვალი წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და პოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და id
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორნინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
 19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
 20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
-
21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
 22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
-
23. ერის ფრომი – ადამიანის სული
 24. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
 25. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
-
26. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
 27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
-
28. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
 29. ოშო – რა არის მედიტაცია?